ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №18/1

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „01" „მარტი" 2021 წ.

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომ–ხელშეკრულება) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ. მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ შემსყიდველი) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „ მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;

1.4 „ხელშკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები:

ერთის მხრივ: *თიანეთის მუნიციპალიტეტი*

წარმომადგენელი: თიანეთის *მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი ბერბერაშვილის სახით.*

(შემდგომში „შემსყიდველი")

მეორეს მხრივ: ინდ.მეწარმე „სოსო ცალუღელაშვილი"
(მიმწოდებლის დასახელება)

წარმომადგენელი: სოსო ცალუღელაშვილი (შემდგომში „მიმწოდებელი") შორის.

3.ხელშეკრულების საგანი:

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: <u>თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიისათვის 6 (ექვსი) ცალი (5 ლიტრიანი) ხელის სადეზინფექციო საშუალების შესყიდვა.</u>

3.2 შესყიდვის საშუალება- გამარტივებული შესყიდვა.

3.3 დაფინანსები წყარო: 2021 ადგილობრივი ბიუჯეტი.

3.4 კლასიფიკატორის კოდი CPV- 33741300

4. ხელშეკრულების ღირებულება:

4.1. მისაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს **264** (ორას სამოცდაოთხი) ლარს.

4.2 საქონელი მიწოდებული იქნება შემდეგ მისამართზე: დ.თიანეთი, 9 აპრილის ქუჩა

5. მხარეთა უფლება–მოვალეობანი:

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია: დროულად და ხარისხიანად მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი არაუგვიანეს 2021 წლის 30 მარტამდე.

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში განახორციელოს: ხარისხიანი <u>**საქონლის**</u> მიწოდება. იგი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურეობის ხარისხისა,ვარგისიანობასა და დროულობაზე.

5.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს გაწეული მომსახურეობის ღირებულება.

5.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

საქართველო. თიანეთის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA. TIANETI MUNICIPALITY CITY HALL
№ 1366 01 03 2021 წ.
232388378
2500 თიანეთი რუსთაველის ქ. №67
67 Rustaveli st. Tianeti

5.4 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

6.მომსახურების მიღება–ჩაბარების წესი:

6.1 საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება, საბოლოოდ შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი:

7.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შესაბამისი უფლებამოსილი პირი.

8. გასაწევი მომსახურების (მიწოდებული საქონელის, შესრულებული სამუშაოს) ხარისხი და გარანტია:

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი (გაწეული მომსახურება, შესრულებული სამუშაო) არ გამოავლენს ხარვეზებს ----- წლის (თვის) განმავლობაში. აღნიშნულ პერიოდში გამოვლენილ ნაკლოვანებებს გამოასწორებს საკუთარი სახსრებით.

9. ანგარიშსწორება:

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2 ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

9.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო (ნაღდი). გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე

10. ფასები:

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე–4–ე პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი საქონლის (გასაწევი მომსახურების, შესრულებული სამუშაოს) ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

10.2 ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრის შცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია საცალო ფასის (გასაწევი მომსახურების განსაზღვრული ფასის)გაზრდის ან შემცირების. ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების. საგადასახადო რეჟიმის შეცვლის და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

10.3 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების +/- 10 %–ს.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა:

11.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რამე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებლის რამე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართი სსახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა:

12.1 მიმწოდებელს არ აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილებანი.

13. სუბ–კონტრაქტორები:

13.1. იმ შემთხვევაში, თუ სუბ–კონტრაქტორთან ხელშეკრულების დადების ან სუბ–კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემო აღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ–კონტრაქტორის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ–კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14.ფორს–მაჟორი:

14.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებებისამებრ, მიწანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდამიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს–მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის:

15.1 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 5.1 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,02%–ის ოდენობით.

15.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

15.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვადებულებების შესრულებისაგან.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა:

16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.

16.3 ხელშეკრულების ცალკეულ პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შსრულებისაგან.

16.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან.

16.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას:

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში.

16.6 ამ მუხლის მე–5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

17. დავების გაწყვეტის წესი:

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირ არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

17.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავიის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 01 მაისამდე.

19. სხვა პირობები:

19.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 ეგზემლარად , სამივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ორი პირი შემსყიდველთან და ერთი პირი მიმწოდებელთან)

19.2 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ მისი მონაწილეობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის პროცედურაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
დასახელება: თიანეთის მუნიციპალიტეტი მისამართი: დაბა თიანეთი რუსთაველის ქუჩა №67 ტელეფონი: 0 (348) 29-14-14 მომსახურე ბანკი: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22 საბანკო ანგარიში:GE24NB0330100200165022 საიდენტიფიკაციო კოდი: 232388378	დასახელება: ინდ.მეწარმე ,,სოსო ცალუღელაშვილი" მისამართი: დაბა თიანეთი 9 აპრილის ქუჩა ტელეფონი: 568 53 07 77 მომსახურე ბანკი: სს ,,ლიბერთი ბანკი" თიანეთის ფილიალი LBRTGE22 ს/ა: GE94LB0112113340113000 საიდენტიფიკაციო კოდი: 23001001074
ხელმოწერა ----------	ხელმოწერა ----------
TIANETI MUNICIPALITY Digitally signed by TIANETI MUNICIPALITY Date: 2021.03.01 11:03:56 +04'00'	Soso Tsalughelashvili Digitally signed by Soso Tsalughelashvili Date: 2021.03.01 11:02:40 +04'00'